ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3729855

ნომერი: AR1562879

თარიღი : 06.12.2017

გაცემის თარიღი : 15.12.2017

გაცნობის თარიღი : 16.12.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი , N 115 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა კაპანაძე პ/ნ 01029014924
- თბილისი მოსკოვის გამზ. N 33 კორ. 4 ბ. 11

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 06 დეკემბრის AR1562879 განცხადება, რომელშიც ითხოვთ მრავალფუნქციური შენობის (სავაჭრო პავილიონი, დამხმარე ნაგებობა) განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სამსახურის მიერ 2009 წლის 21 ოქტომბერს დამტკიცებულია N 1008 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (ბრძანება N2717 14.07.2011 ცვლილება განხორციელდა N1008 21.10.2009 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში), შეთანხმებულია არქიტეტქტურული პროექტი. დღევანდელი მდგომარეობით საკადასტრო გეგმაზე ფიქსირდება მშენებარე ობიექტი. ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დასადგენად თანდაპირველად უნდა წარმოადგინოთ შეთანხმებული დოკუმენტაციის საფუძველზე აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია/განახლებული საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ექსპლუატაციაში მიღების ბრძანების ნომრის დაფიქსირებით. იმ შემთხვევაში თუ შეთანხმებული დოკუმენტაციის საფუძველზე ნაწარმოებია მშენებლობა და ობიექტი მშენებარეა /არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, უნდა შეცვალოთ ნომენკლატურა და მოითხოვოთ 2009 წლის 21 ოქტომბერს დამტკიცებულ N1008 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება საპროექტო ობიექტის ფუნქციის (ზონის შესაბამისი) და შეცვლილი საკადასტრო გეგმის დაფიქსირებით. ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება შესაძლებელია მოითხოვოთ მშენებარე ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ. განსახილველად უნდა წარმოადგინოთ ქალაქგეგმარებითი დასაბუთება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ში კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების გათვალისწინებით (კ1-0.2 , კ2--, კ3-0.8).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 06 დეკემბრის AR1562879 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.